

ვაკანსიის № 49882

პოზიციის დასახელება	საპროექტო განყოფილების უფროსი სპეციალისტი
კონკურსის ტიპი	ღია კონკურსი
ორგანიზაცია	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ორგანო
კატეგორია	არქიტექტურა
განცხადების ბოლო ვადა	25.06.2018
თანამდებობრივი სარგო	1600 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	თბილისი
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი
გამოსაცდელი ვადა	3 თვე

ფუნქციები

ა) სამსახურის მიერ შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტებზე მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, დამკვეთისთვის/მენაშენსთვის შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მიცემა;

ბ) განსაკუთრებული არქიტექტურული და ქალაქმშენებლობითი მნიშვნელობის მქონე, ახლად ასაშენებელი და სარეკონსტრუქციო ობიექტების დაპროექტების, ესკიზური, ვარიანტული და საკონკურსო დამუშავების განსაზღვრაში მონაწილეობის მიღება;

გ) თბილისის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საპროექტო-საინჟინერიო წინადადებების მომზადება;

დ) მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული კორესპონდენციის განხილვა;

ე) სამსახურის გამართული მუშაობის მიზნით, შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ვ) განყოფილების ყოველკვირეული, ყოველთვიური, კვარტალური და წლიური სტატისტიკური მონაცემების წარმოება და მომზადება;

ზ) სამსახურის უფროსის დავალებების შესრულება;

თ) დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელება.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	ბაკალავრი
სამუშაო გამოცდილება	1 წელი
პროფესია	არქიტექტორი

საკონკურსო თემატიკა

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

გ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

ე) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

ვ) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;

ზ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;

თ) საქართველოს კანონი „სივრცითი მონაცემებისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“;

ი) საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“;

კ) საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“;

ლ) საქართველოს კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“;

- მ) საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“
- ნ) პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი;
- ო) „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- პ) საქართველოს კანონი „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ ;
- ჟ) „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილება;
- რ) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილება;
- ს) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-35 დადგენილება;
- ტ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განული დაჩქარებული მომსახურებისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის 17-52 დადგენილება;
- უ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის 17-51 დადგენილება.

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
ArchiCAD	კარგი
AutoCAD	კარგი
Arc GIS	კარგი
MS office applications	კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	ქ. თბილისი, შარტავს ქ. 7
საკონტაქტო ტელეფონები	577977388
საკონტაქტო პირი	ირმა სენიაშვილი

დამატებითი მოთხოვნები

- ა) კანდიდატს უნდა ჰქონდეს არქიტექტურის სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება;
- ბ) წერისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი.

დამატებითი ინფორმაცია

კონკურსთან დაკავშირებით მოთხოვნებში მითითებული საკანონმდებლო აქტების გასაცნობად ეწვიეთ ვებ - გვერდს: www.tas.ge; <https://matsne.gov.ge/>.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა კანდიდატებმა განცხადების შევსების დროს შესაბამის გრაფაში უნდა ატვირთონ:

- ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლ(ებ)ი;
- ბ) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- გ) სამოტივაციო წერილი, სადაც დასაბუთებულად იქნება წარმოჩენილი, თუ რატომ გსურთ არქიტექტურის სამსახურში მუშაობის დაწყება და რატომ თვლით, რომ თქვენი კანდიდატურა შეესაბამება კონკრეტულ ვაკანსიას.

შენიშვნა: კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადავა მხოლოდ ის კანდიდატი, რომელიც დააკმაყოფილებს ამ ფორმით განსაზღვრულ მოთხოვნებს და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას. კონკურსის ეტაპების შედეგების, ასევე ჩატარების წესტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ დამატებით.

გადანწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

საკონკურსო კომისია გადანწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
შეპირი დავალება
გასაუბრება